# განცხადება

2012 წლის 23-25 აპრილს ჩატარდება ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXVI გაფართოებული სხდომები.

**იმუშავებს**

– **მათემატიკის საფუძვლებისა და მათემატიკური ლოგიკის** (ხელმძღვანელები – როლანდ ომანაძე, ალექსანდრე ხარაზიშვილი, თანახელმძღვანელი – არჩილ ყიფიანი; email: archil.kipiani@tsu.ge),

**გამოყენებითი ლოგიკისა და პროგრამირების** (ხელმძღვანელი – მატიას ბაასი (ავსტრია), თანახელმძღვანელები – ჯემალ ანთიძე, ხიმურ რუხაია; email: khimuri.rukhaia@viam.sci.tsu.ge),

**ალგებრისა და გეომეტრიის** (ხელმძღვანელები – მიხეილ ამაღლობელი, თეიმურაზ ვეფხვაძე, გიორგი ხიმშიაშვილი, თანახელმძღვანელი-ქეთევან შავგულიძე; email: ketevanshavgulidze@yahoo.com),

**ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის** (ხელმძღვანელები – უშანგი გოგინავა, ლერი გოგოლაძე, თანახელმძღვანელი – ანა დანელია; email: z_goginava@hotmail.com),

**კომპლექსური ანალიზისა და მისი გამოყენებების** (ხელმძღვანელი – გრიგორ გიორგაძე, თანახელმძღვანელი – გიორგი ახალაია; email: gia.giorgadze@tsu.ge),

**ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის** (ხელმძღვანელები – თამაზ თადუმაძე, რომან კოპლატაძე; email: tamaztad@yahoo.com),

**კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების** (ხელმძღვანელები – დავით ნატროშვილი, სერგო ხარიბეგაშვილი, თემურ ჯანგველაძე, თანახელმძღვანელი – ზურაბ კიღურაძე; email: tjangv@yahoo.com),

– **ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის** (ხელმძღვანელი – ელიზბარ ნადარაია, თანახელმძღვანელი - ომარ ფურთუხია; email: o.purtukhia@gmail.com),

– **უწყვეტ გარემოთა მექანიკის** (ხელმძღვანელები – თენგიზ მეუნარგია, მერაბ სვანაძე, ჯონდო შარიქაძე, ნური ხომასურიძე, გიორგი ჯაიანი, თანახელმძღვანელი – ნატალია ჩინჩალაძე; email:svanadze@gmail.com, email:chinchaladze@gmail.com),

– **ტექნიკური მექანიკის** ( ხელმძღვანელი გურამ გაბრიჩიძე, თანახელმძღვანელი – ლალი ქაჯაია; email: gabrichgur@gmail.com, email: qajaia@gmail.com),

– **მათემატიკური მოდელირებისა და გამოთვლითი მათემატიკის** (ხელმძღვანელები – დავით გორდეზიანი, თამაზ ვაშაყმაძე, ჯემალ როგავა, თანახელმძღვანელი – თეიმურაზ დავითაშვილი; email: dgord37@hotmail.com, email: tamazvashakmadze@gmail.com)

სექციები, რომლებზედაც მოსმენილი იქნება ოცწუთიანი მოხსენებები.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობის მიღების მსურველებს ვთხოვთ, ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართონ სათანადო სექციების ხელმძღვანელებს და 2012 წლის 23 მარტამდე წარუდგინონ მათ მოხსენების დასახელება (ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანაავტორების არსებობის შემთხვევაში – მომხსენებლის მითითებით; მონაწილეს შეუძლია მოხსენებით წარდგეს მხოლოდ ერთი სექციის წინაშე, ამასთან, მხოლოდ ერთი მოხსენებით).

სემინარზე მოსმენილი მოხსენებები გამოქვეყნდება სათანადო რეცენზირების გავლის შემდეგ. დისკი მოხსენების ტექსტის ჩანაწერით, რომელიც მოცულობით არ უნდა აღემატებოდეს 4 ნაბეჭდ გვერდს, ინგლისურ ენაზე აკრეფილს **TEX, LATEX, AMSTEX** ან **AMSLATEX** პროგრამების გამოყენებით, ერთ ამონაბეჭდთან ერთად წარედგინება სექციის ხელმძღვანელს სემინარის მუშაობის დღეებში.

სემინარის მუშაობა დაიწყება 2012 წლის 23 აპრილს 13 საათზე ინსტიტუტის შენობაში (უნივერსიტეტის ქ., 2).

ტრადიციისამებრ, 23 აპრილს 16 საათზე დაგეგმილია ილია ვეკუას საფლავის მონახულება მთაწმინდის პანთეონში.